



ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობები დანართი N6 - SMS ბანკი

1. **SMS ბანკის** საშუალებით **კლიენტს** უფლება აქვს **ბანკში** დაფიქსირებულ **ფინანსურ ნომერზე** მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების (შემდგომში - **შეტყობინება**) სახით ან/და შეასრულოს **გადახდის ოპერაცია**.
2. **SMS ბანკით** სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ **კლიენტებს**, რომლებიც ფლობენ ელექტრონულ მოწყობილობას, რომელიც აღჭურვილია ხმოვანი და მონაცემთა გაცვლის ფუნქციით.
3. **SMS ბანკი** არის ორი სახის:
 - 3.1. ძირითადი **SMS ბანკი**, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია მიიღოს **ბანკისგან შეტყობინებები** და მისცეს **ბანკს** შემდეგი სახის **დავალებები**:
 - 3.1.1. მობილური ტელეფონის ბალანსის შევსებისთვის;
 - 3.1.2. **ბარათის** დასაბლოკად/განსაბლოკად;
 - 3.1.3. **SMS ბანკისთვის** განსაზღვრული ენის შეცვლის თაობაზე.
 - 3.1.4. დამატებითი **SMS ბანკი**, რომლის საშუალებითაც **კლიენტს** შეუძლია მიიღოს **ბანკისგან შეტყობინება**, რაც გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციას **კლიენტის** სარგებლობაში არსებული ან/და მომავალში შემენილი/გააქტიურებული **საბანკო პროდუქტების/საბანკო მომსახურების** შესახებ.
 - 3.1.5. ინფორმაცია **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული ფულადი სახსრების შესახებ.
 - 3.1.6. ინფორმაცია ვადიანი დეპოზიტის ვადის გასვლის/გაგრძელების შესახებ.
 - 3.1.7. ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სხვადასხვა ვალუტის გაცვლითი კურსების შესახებ.
 - 3.1.8. ინფორმაცია **გადახდის ოპერაციის** განხორციელების შესახებ.
 - 3.1.9. ინფორმაცია **ბანკის** დაგროვების პროგრამის ფარგლებში დარიცხული შესაბამისი ქულების შესახებ.
 - 3.1.10. **მხარეთა შორის** შეთანხმებული ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.
 4. **კლიენტის** დავალებით, **SMS ბანკით** **გადახდის ოპერაციის** შესრულებისას **ბანკი** უფლებამოსილია ჩამოჭრას შესაბამისი ოდენობის თანხა **კლიენტის** იმ **ანგარიშიდან** ან/და იმ **ბარათთან** დაკავშირებული **უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან**, რომლის **ბარათის** საიდენტიფიკაციო **მონაცემ(ებ)იც**, კერძოდ **ბარათის** ნომრის ბოლო ოთხი ციფრი, მითითებულია **SMS ბანკის განაცხადში/ შეტყობინებაში**.
 5. **SMS ბანკით** მომსახურების ფარგლებში **გადახდის ოპერაცია** ყოველთვის შეიძლება ვერ შესრულდეს **დავალების** გაცემისთანავე. **დავალება** მუშავდება **ბანკისთვის** წარდგენიდან არაუმეტეს 2 (ორი) **საბანკო დღის** ვადაში, გარდა **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **დავალების** შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია **მესამე პირის** ბრალეულობით ან/და ისეთი ქმედების გამო, როდესაც **ბანკმა** ვერ მიიღო **დავალება მესამე პირის**, მათ შორის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამწვევი პირის ბრალით. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე სახის ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯებზე, რომელიც **კლიენტმა** შეიძლება მიიღოს ამგვარი შეფერხების შედეგად.
 6. **კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
 - 6.1. **ბანკისთვის** მიწოდებული **ფინანსური ნომერი** მის მფლობელობაშია. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტი** დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს **ბანკს** **ფინანსურ ნომერთან** დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ აღნიშნული **ფინანსური ნომრიდან** გაგზავნილი/მიღებული **დავალება** ჩაითვლება **კლიენტის** მიერ გაგზავნილად/მიღებულად და გამოირიცხება **ბანკის** რაიმე სახის პასუხისმგებლობა.
 - 6.2. დაუყოვნებლივ შეატყობინებს **ბანკს** **ფინანსური ნომრის** ცვლილების ან/და მის მფლობელობაში არსებული ტელეფონის დაკარგვის შესახებ;



- 6.3. დაუყოვნებლივ შეატყობინებს **ბანკს**, ისეთი გარემოების დადგომის შესახებ, როდესაც **კლიენტს** ნებისმიერი ფორმით შეუწყდება მფლობელობა ან/და წვდომა მის სარგებლობაში არსებულ ტელეფონზე ან/და **ფინანსურ ნომერზე** ან/და დადგება ისეთი გარემოება, რომლითაც შესაძლებელი იქნება **მესამე პირისთვის** გახდეს ხელმისაწვდომი **SMS ბანკით მომსახურების** ფარგლებში მისაწოდებელი ინფორმაცია/მომსახურება,
- 6.4. **ლიენტი** პასუხისმგებელია ყველა **დავალებაზე**, რომელიც გაგზავნილი/გაცემული იქნება **ფინანსური ნომრიდან**.
7. იმ შემთხვევაში თუ **წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტში** დაფიქსირებულ **ანგარიშზე** არ არის საკმარისი თანხა **ბანკი** უფლებამოსილია არ შეასრულოს **დავალება**.
8. **ბანკი** არ აგებს პასუხს სატელეკომუნიკაციო მომსახურების გამწევი, მათ შორის მობილური ოპერატორის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და მის ხარისხზე.
9. **SMS ბანკის მომსახურების** გაწევისას **ბანკი** ეყრდნობა **ფინანსური ნომრიდან** მიღებულ **დავალებას** და **ბანკი** არ არის ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნი პიროვნება ან მოკლე ტექსტური შეტყობინების ნამდვილობა.
10. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ფინანსური ნომრის** არა-ავტორიზებულ გამოყენებაზე **მესამე პირების** მხრიდან.
11. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებით, მიიღოს ნებისმიერი სახის **ოპერაციის** ან **დავალების** გაუქმების მოთხოვნა **კლიენტისგან** იმ შემთხვევაში თუ **ბანკს** ჯერ არ დაუწყია აღნიშნული **ოპერაციის** ან **დავალების** შესრულება. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან/და ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით.
12. **კლიენტი** უფლებამოსილია **ინტერნეტ ბანკისა** და **მობილ ბანკის** მეშვეობით გააქტიუროს/დაარედაქტიროს/გააუქმოს **SMS ბანკით მომსახურება**, **ინტერნეტ ბანკისთვის** და **მობილ ბანკის** დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად..
13. **კლიენტს** უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გააუქმოს **SMS ბანკით მომსახურება**, **ბანკისათვის** შესაბამისი **განაცხადით** მიმართვის საფუძველზე და **ბანკის** მიერ დადგენილი წესებით/პროცედურებით განსაზღვრული ქმედებების განხორციელების შემდეგ.
14. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი **შეტყობინების** გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **SMS ბანკით მომსახურება**, თუ ადგილი აქვს ქვემოთ მოცემული შემთხვევებიდან ერთ-ერთს:
 - 14.1. **კლიენტს** აღარ აქვს **ბანკში** გახსნილი არცერთი ტიპის **ანგარიში**;
 - 14.2. უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **SMS ბანკის საკომისიო**.